




„მოქალაქეებთან პირდაპირი კომუნიკაცია ჩვენი გუნდის მთავარი პრიორიტეტია“



გურიაში სახელმწიფო რწმუნებულის გიორგი ურუშაძე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერთან დავით შარაშიძესთან და გურიის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს წარმომადგენელთან ერთად მოქალაქეთა მორიგ მიღებას დაესწრო.

– „მოქალაქეებთან პირდაპირი კომუნიკაცია და მათ საჭიროებებზე დროული რეაგირება ჩვენი გუნდის მთავარი პრიორიტეტია“, – აღნიშნა გურიაში სახელმწიფო რწმუნებულმა გიორგი ურუშაძემ.



ა ლ ი ო ნ ი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ე ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გ ა ზ ე თ ი .
 ყოველკვირეული გამოშვება. № 14 (10426) 6 0360სი 2022 წ. ფასი 80 თეთრი.

ნინო წილოსანი: ჩაის პლანტაციებს მასიურად ანაცვლებს მოცვი, თხილი



ქვეყანაში ჩაის პლანტაციების რაოდენობა შემცირებულია და მას მასიურად ანაცვლებს მოცვი, კივი, თხილი. ამის შესახებ დეპუტატმა **ნინო წილოსანმა** აგრარულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე განაცხადა, სადაც მეჩაიეობის დარგის პრობლემების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის ანგარიში განიხილეს.

„ქვეყანაში აღარ არის დარჩენილი ჩაის სანაშენები, ასევე ჩაის ახალი პლანტაციების გაშენება საკმაოდ ძვირია და რომელიც გაწევადი. 1985 წელთან შედარებით ჩაის პლანტაციების მხოლოდ 2.5% ფუნქციონირებს. საქართველოში ჩაი მხოლოდ 6 თვის განმავლობაში ირეკიება, მაშინ როდესაც ჩაის მწარმოებელ სხვა ქვეყნებში მოსავალს მთელი წლის განმავლობაში იღებენ. აბავროლადა.“

ჩაის პლანტაციების ჩანაცვლება მასიურად მიმდინარეობს და მას ანაცვლებს სხვა ისეთი კულტურები, როგორცაა მოცვი, თხილი, კივი და სხვა, – აღნიშნა ნინო წილოსანმა.

სამუშაო ჯგუფის წევრებთან კონსულტაციების შედეგად კომიტეტმა რეკომენდაციები შეიმუშავა.

ნინო წილოსანის თქმით, აუცილებელია განხორციელდეს ინვენტარიზაცია. მეჩაიეობის დარგის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისთვის, მნიშვნელოვანია დადგინდეს ჩაის პლანტაციების საერთო ფართობი, საც სახელმწიფოს საშუალებას მისცემს, შეაფასოს დარგის პოტენციური ეკონომიკური შესაძლებლობები.

ამასთან, რეკომენდაციაა,

მეროკავშირის თანადგომით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი უპრეცედენტოდ გაიზარდა

29 683 862 ლარით მატების შედეგად ჯამში ოზურგეთის ბიუჯეტი უკვე 57 497 862,63 ლარს შეადგენს, რაც გასულ წლებთან შედარებით უპრეცედენტო შემთხვევაა და 2021 წლის ბიუჯეტს უკვე 16 მილიონი ლარით აღემატება.

ცვლილებები ბიუჯეტში, 30 მაისს, საკრებულომ ერთხმად დაამტკიცა.

გაზრდილი ბიუჯეტი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული, სოციალურ-ეკონომიკური პროექტების განხორციელებას მოხმარდება.

უკვე დაიწყო ქალაქ ოზურგეთის ურბანული განახლება და განვითარება.

„საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში“ ქუჩების ჭავჭავაძის, დოლიძის, ბოლქვაძის რეაბილიტაცია, მრავალბინიანი კორპუსების განახლება ცენტრალური მოედნის რეკონსტრუქცია; მწვანე სივრცეების შექმნა და არსებულის განახლება – ნინოშვილის ქუჩაზე, ჭადრების ბაღსა და პეტრიწის ქუჩაზე მდებარე სკვერის, ექაღის უნიკალური ტყე-პარკის რეაბილიტაცია, ახალი სპორტული - საჩოგბურთო კორტების მშენებლობა იგეგმება. პროექტები ჯამში 11 135 552 ლარით ფინანსდება.

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი“-დან 5 898 256 ლარი მოხმარდება საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობას. კერძოდ: ანასეულში, ჯორჯიაშვილის ქუჩაზე, სოფელ ხვარბეთში, დეაბუში, ციხისფერდში,



შეკვეთილში, ხოლო მალე დაიწყება სოფელ მაკანეთისა და ლიხაურის დამაკავშირებელი გზის მშენებლობა და ასევე ფარნავის ქუჩაზე მრავალბინიანი კორპუსის რეაბილიტაცია.

პროგრამა „განახლებული რეგიონების“ ფარგლებში 2 627 700 ლარით ფინანსდება ოზურგეთის ცენტრალური პარკის რეკონსტრუქციისა და რეაბილიტაციის სამუშაოების მორეეტაბი;

2 550 000 ლარით ფინანსდება სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები, რაც გულისხმობს დაზიანებული გზების და კრიტიკული მონაკვეთების ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, სახიდე გადასასვლელების და სანიაღვრე არხების მოწყობას.

ადგილობრივი შემოსავლებით დაფინანსდება საპროექტო დოკუმენტაციის მოსამზადებელი სამუშაოები შემდეგ ლოკაციებზე:

წყალმომარაგება: სოფელი ოზურგეთის, ნაგორის, მერიის, კონჭკათის, გოგორეთისა, ხვარბეთის და თხინვალის წყალმომარაგების სისტემის მშენებლობის პროექტირება; უკვე არსებულ ჭაბურღილებზე – ნალობილევის, ციხისფერდის ორ უბანში, ხრიალეთში, ნატანების მე-12 უბანში, წყლის მიწოდებულ ქსელის პროექტირება.

საგზაო ინფრასტრუქტურა: სხვადასხვა ლოკაციებზე ჯამში 11 მილიონი ლარის ოდენობის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება განხორციელდება.

შენობა-ნაგებობები: სოფელ მთისპირში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობისა და სოფელ შემოქმედში არსებული საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაცია.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 1 086 000 ლარით და ადგილობრივი ბიუჯეტის 500 000 ლარის თანადაფინანსებით, მოხდება იმ პროექტების განხორციელება, რომლებიც მოსახლეობამ ადგილზე შეხვედრების დროს პრიორიტეტად განსაზღვრა.

ცენტრალური ხელისუფლების მიერ გამოყოფილი 300 000 ლარისა და იაპონიის საელჩოს მიერ გამოყოფილი 91 632 აშშ დოლარის - (295 733 ლარი) გრანტებით დაფინანსდება სოფელ ნაგომარში საბავშვო ბაღის, საექიმო ამბულატორიისა და მერიის წარმომადგენლის ოფისის რეაბილიტაცია. საპროექტო დოკუმენტაციის მოსამზადებელი პრაქტიკული სამუშაოები უახლოეს დღეებში დაიწყება და წლის ბოლომდე აღდგება ხანძრის შედეგად განადგურებული ინფრასტრუქტურა.

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შავთვით გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
- სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი, ხელმოწერა:
ერთი თვით - 2,40 ლარი, სამი თვით - 7,20 ლარი, 6 თვით -14,40 ლარი, ერთი წლით - 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიონანსწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო მომსახურების ტარიფები

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. №3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი მიზნობრივი აქცია „ალიონით“

ნინო წილოსანი: ჩაის პლანტაციებს მასიურად ანაცვლებს მოცვი, თხილი



მეჩაიეობის დარგის განვითარების 5 წლიანი სახელმწიფო ხედვის დოკუმენტის მომზადება. აგრეთვე, ჩაის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცება. „მეჩაიეობის დარგის განვითარების, ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობის და მომხმარებელთა უფლებების დაცვისთვის მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ დაამტკიცოს ჩაის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი, რომელიც განსაზღვრავს ჩაის წარმოების, გადამამუშავების, დისტრიბუციის ეტაპზე რეგულირების ერთიანი პრინციპებს“, - აღნიშნა კომიტეტის სხდომაზე ნინო წილოსანმა.

სამუშაო ვაკუუმი ფიქრობს, რომ ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ ჩაის გზის კონცეფცია უნდა შეიმუშაოს.

„უნდა შეიქმნას ჩაის ტურიზმის

ობიექტების ელექტრონული ბაზა, ჩაის პლანტაციების, აგროტურისტული ობიექტების მანიშნებელი და საინფორმაციო დაფები, მათ შორის მთავარ საავტომობილო გზებზე“, - აცხადებს ნინო წილოსანი.

მისი თქმით, ამ დარგის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია სასწავლო ტრენინგების და კურსების ორგანიზება.

„რეკომენდაცია, მეჩაიეობის რეგიონში მოქმედი კომპანიების და ფერმერული მეურნეობების კვალიფიკაციური კადრებით უზრუნველყოფის მიზნით ადგილზე მოკლევადიანი პროფესიული სწავლება, გადამზადების კურსების ორგანიზება, შესაბამისი აკადემიური დაწესებულებების და პერსონალის ჩართულობით“, - განაცხადა ნინო წილოსანმა.

საჯარო და მუნიციპალური სერვისების უსახეობა - უმჯობესი პირობები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის გამჭვირვალობისა და საჯაროობის მიმართულებით, არასამთავრობო სექტორთან პარტნიორობით, კიდევ ერთი ახალი ინსტრუმენტი დაინერგება.

სმარტ ეკრანების შესახებ, რომლებზედაც საჯარო და მუნიციპალური სერვისების შესახებ ინფორმაციები განთავსდება, ოზურგეთის საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩიამ, ამჯერად, მიმდინარე მოსახლეობას ესაუბრა. ამასთან ერთად ყველა იმ მექანიზმზე გაამახვილა ყურადღება, რომელიც მოქალაქეთა ჩართულობას და გადაწყვეტილების

მიღების პროცესში მათ მონაწილეობას უზრუნველყოფს. ესენია: ელექტრონული პეტიცია, სმს სისტემა, სხდომების პირდაპირი ტრანსლირება და სხვა. მანვე ადგილობრივ მოსახლეობას აქტიურობისაკენ მოუწოდა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო, „თვითმმართველობა განათლებისათვის“ ფარგლებში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების კამპანიას, საჯარო მმართველობის მიმართულებით აგრძელებს.

შეხვედრას მიმდინარე საკრებულოს წევრები, აპარატის უფროსი და მერის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.



ცხადდება სტარტაპ ბრანტების კონკურსი



ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის - „უნარები დასაქმებისა და თანამშრომლობისთვის - პერსპექტივები საქართველოს რეგიონებისთვის - SECTORS“ ფარგლებში, ცხადდება სტარტაპ ბრანტების კონკურსი გურიის, აჭარის და სამეგრელოს რეგიონებში. პროექტს ახორციელებს „ინოვაციებისა და ცვლილებების ინსტიტუტი“ (ყოფილი გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი) საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან, დემოკრატიის ინსტიტუტთან და ასოციაცია „აინათთან“ პარტნიორობით.

პროექტის შესახებ:
პროექტი - „უნარები დასაქმებისა და თანამშრომლობისთვის - პერსპექტივები საქართველოს რეგიონებისთვის - SECTORS“ - დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და ახორციელებს ინოვაციებისა და ცვლილებების ინსტიტუტი (ყოფილი გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი) საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან, დემოკრატიის ინსტიტუტთან და ასოციაცია „აინათთან“ პარტნიორობით.

პროექტი მიზნად ისახავს საზოგადოების მოწყობილი ვაკუუმების დასაქმების

განათლების მიღმა მყოფი 35 წლამდე ახალგაზრდები - არასრული საშუალო განათლების მქონე ან რომლებმაც მათთვის სკოლა საბაზო საფეხურზე; უმაღლესი განათლების მქონე;

35 წლამდე სამუშაოს მაძიებელი ახალგაზრდები - დაბალშემოსავლიანი ოჯახის წევრი;

ქალები - ეკონომიკური და სოციალური სირთულეების წინაშე მდგომი (ასაკი შეუზღუდავი);

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები;

იძულებით გადაადგილებული პირები; ადამიანები, რომლებმაც სამსახური და შემოსავალი დაკარგეს კოვიდ-19-ის გავრცელებით გამოწვეული პანდემიის შედეგად.

კონკურსში მონაწილეობა მხოლოდ:
პრობლემური საკრედიტო ისტორიის მქონე პირებს;

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული მიმდინარე პროექტების ფარგლებში დაფინანსების მიღებ პირებს;

რეგისტრირებულ მეწარმე სუბიექტებს; პირებს, რომელთა მიერ შემოთავაზებული ობიექტი (მიწა, შენობა-ნაგებობა და სხვ.) სადაც დაგეგმილია პროექტის განხორციელება, დატვირთულია იპოთეკით ან/და ადევს ყადაღა.

პირებს, რომელთა მიერ შემოთავაზებული ობიექტი (მიწა, შენობა-ნაგებობა და სხვ.) რომელზეც უნდა განხორციელდეს გრანტით გათვალისწინებული აქტივობები, არ არის მის საკუთრებაში (კონკურსის ფარგლებში განიხილება მხოლოდ ის ობიექტი, რომელზეც რეგისტრირებულია გრძელვადიანი ოჯახი).

საბრანტო დაფინანსების პრინციპი:
საგრანტო კონკურსის ფარგლებში

განათლების მიღმა მყოფი 35 წლამდე ახალგაზრდები - არასრული საშუალო განათლების მქონე ან რომლებმაც მათთვის სკოლა საბაზო საფეხურზე; უმაღლესი განათლების მქონე;

35 წლამდე სამუშაოს მაძიებელი ახალგაზრდები - დაბალშემოსავლიანი ოჯახის წევრი;

ქალები - ეკონომიკური და სოციალური სირთულეების წინაშე მდგომი (ასაკი შეუზღუდავი);

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები;

იძულებით გადაადგილებული პირები; ადამიანები, რომლებმაც სამსახური და შემოსავალი დაკარგეს კოვიდ-19-ის გავრცელებით გამოწვეული პანდემიის შედეგად.

კონკურსში მონაწილეობა მხოლოდ:
პრობლემური საკრედიტო ისტორიის მქონე პირებს;

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული მიმდინარე პროექტების ფარგლებში დაფინანსების მიღებ პირებს;

რეგისტრირებულ მეწარმე სუბიექტებს; პირებს, რომელთა მიერ შემოთავაზებული ობიექტი (მიწა, შენობა-ნაგებობა და სხვ.) სადაც დაგეგმილია პროექტის განხორციელება, დატვირთულია იპოთეკით ან/და ადევს ყადაღა.

პირებს, რომელთა მიერ შემოთავაზებული ობიექტი (მიწა, შენობა-ნაგებობა და სხვ.) რომელზეც უნდა განხორციელდეს გრანტით გათვალისწინებული აქტივობები, არ არის მის საკუთრებაში (კონკურსის ფარგლებში განიხილება მხოლოდ ის ობიექტი, რომელზეც რეგისტრირებულია გრძელვადიანი ოჯახი).

საბრანტო დაფინანსების პრინციპი:
საგრანტო კონკურსის ფარგლებში

დაფინანსების მინიმალური ოდენობა შეადგენს 500 ევროს, ხოლო მაქსიმალური 5000 ევროს.

საგრანტო დაფინანსება ხორციელდება თანამონაწილეობის პრინციპით და განმცხადებლის წილი უნდა შეადგენდეს განაცხადის საერთო ბიუჯეტის მინიმუმ 10%-ს.

საგრანტო კონკურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ, შემდეგ მისამართზე: <https://bit.ly/-3304jPL>

საპროექტო იდეის წარდგენა შესაძლებელია ორი ფორმით: ელექტრონული და მატერიალური (ნაბეჭდი) ფორმით. ელექტრონულად განაცხადის წარდგენა შესაძლებელია: guria.ici.info.02@gmail.com

საკონტაქტო პირი: ოსებ წიკლაური, 555 23 33 22

ელფოსტაზე განაცხადის წარდგენისას აუცილებელია განმცხადებელმა თემის ველში მიუთითოს სტარტაპ 2022.

განაცხადის ამ ფორმით წარდგენის შემთხვევაში, განმცხადებელი მიიღებს განაცხადის მიღების დასტურს. ელფოსტის მეშვეობით განაცხადის წარმოდგენა შესაძლებელია მხოლოდ ერთი -საფოსტო გზავნილით.

მატერიალური ფორმით განაცხადის წარდგენა შესაძლებელი იქნება შემდეგ მისამართზე: გურია: ინოვაციების და ცვლილებების ინსტიტუტი, ქ.ოზურგეთი, რუსთაველის №4

საგრანტო იდეის ფორმის ჩამოტვირთვა შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: <https://bit.ly/318TZ9v>

საპროექტო იდეის წარდგენის ბოლო ვადა 2022 წლის 25 ივნისის ჩათვლით.

დაფინანსებული ფართი

„წარსულში რაც ხდებოდა, დანაშაული იყო, მაგრამ ახლაც უნდა ბავაბრძელოთ?“



ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე, ოზურგეთის ბიუჯეტის 57 მილიონამდე გაზრდა განიხილეს, რაც ევროკავშირიდან მიღებულ გრანტებს უკავშირდება. აღნიშნულს კენჭისყრისას ოპოზიციამაც, მათ შორის დარბაზში მყოფმა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დეპუტატებმაც დაუჭირეს მხარი.

როგორც ბოლო წლებში, ამჟამადაც საკრებულოს სხდომის პირდაპირი ტრანსლირება მიმდინარეობდა.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დეპუტატმა თათია ნიკოლა-

იშვილმა, დღის წესრიგის დამტკიცებისთანავე ისარგებლა საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული უფლებით და ტრადიციულად სიტყვა ითხოვა. მისი გამოსვლა სიტყვის თავისუფლებას და ძალადობას შეეხებოდა.

—რა საკითხებიც უნდა განვიხილოთ სხდომაზე, ყველაფერი ხალხთან უნდა მივიდეს. თუ რას ვაკეთებთ, ვინ იტყუება და ვინ არის მართალი, ხალხი მიხვდება. ჩვენ გვაქვს ევროპული არჩევანი, თქვენ ხელისუფლება კი რუსული მეთოდებით ებრძვის თავისუფლებას. თქვენ არ შეგიძლიათ მოსმენა! განსხვავებული აზრის გამო შევიძ-

ლიათ, ციხეში ჩასვით ადამიანი. ეს შეზღუდვა მრავალი წელია მიმდინარეობს. მთავარი არხის გენერალური დირექტორი ციხეში ზის. არავის დაუწევია 5 ივნისი, თბილისის ცენტრალურ ქუჩებში რომ დასდევდნენ ხალხს და ჟურ-ნალისტი ლექსო ლაშქარავა დაიღუპა! არავის აქვს იმის ილუზია, აქ რომ სხედხართ, ბიძინა ივანიშვილს არ აწონებთ თავს. და-რბაშვილთანაც გვეკონდა კითხვები. იძალადეს ჩემზე, შემიზღუდეს თავისუფლება. იქ რომ მდია არ ყოფილიყო, ვერავინ გაივებდა, რა მოხდა და როგორ ებრძვის თავისუფალ სიტყვას ეს ხელისუფლება,—თქვა ნიკოლა-იშვილმა და პროტესტის ნიშნად, სხდომა სასწრაფოდ დატოვა.

„ჩემი შენ ვითხარი“, —ზუსტად ისე ხართ, — მიამახეს „ქართული ოცნების“ დეპუტატებმა ნიკოლა-იშვილს. ხოლო **დავით დარჩიამ** თხოვნაც დაადგინა, დასწრებოდი საკრებულოს სხდომას, ბიუჯეტის შესახებ ცვლილება მოესმინა.

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე **მარიკა ჩხიკვიშვილმა** ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრებს ტელეკომპანია „იმედი“ დარბევა შეახსენა და აღნიშნა, რომ გამომსვლელის აქტიურობის მიზანს წარმოადგენს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პარტიის თავმჯდომარედ არჩევა, რაზედაც დასახ-

ელეული ფრაქციიდან უპასუხეს —მათ პარტიის ოზურგეთში არჩეული თავმჯდომარე ჰყავს.

კამათს ნაციონალი დეპუტატის **გორა შარაშენიძის** რეპლიკა მოჰყვა: — **კი ბატონო, წარსულში რაც ხდებოდა, ის დანაშაული იყო, მაგრამ ახლაც უნდა გავაგრძელოთ?**

რა თქმა უნდა, არ უნდა გავაგრძელოთ, მაგრამ ვინაიდან თათია ნიკოლაიშვილის სიტყვა არა ზოგადად მედიის დასაცავად იყო თქმული, არამედ რამდენიმე მათთვის მისაღები მედიასაშუალებების დაცვას ეხებოდა, შევახსენებთ:

გაზეთი „ალიონი“ ერთ-ერთი იმ მედიასაშუალებას წარმოადგენს, რომელმაც თავის თავზე იწვნია წინა ხელისუფლების წინააღმდეგობა დასხვა სახის ზეწოლაში აისახებოდა. (ეს მარტო „ალიონს“ არ ეხებოდა).

ჩვეულებრივი მოვლენა იყო, პერიოდულად ძალოვან უწყებებში დაბარებები, სხვადასხვა სახის დამით „გასაუბრებები“..ფინანსური რეპრესიები. ყველაზე მიუღებელი მაინც 2012 წლის 19 აგვისტოს, პროფესიული მოვალეობის შესრულებისას, კურორტ ბახმაროს შესასვლელში იმჟამინდელი პრეზიდენტის სპეცრაზმელების მიერ გაზეთ „ალიონის“ რედაქტორის, მეუღლესა და არასრულწლოვან შვილთან და ძმისშვილთან ერთად დაკავება იყო...

კიდევ ერთი თემა —ქ. ოზურგეთში, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე, არაერთი ადამიანი, მათ შორის ქალბატონები, პოლიციამ ბათუმში გადაიყვანა „გასაუბრებებზე“, თუ რატომ დაიდგეს ოჯახებში ტელევიზორების თეფშები. პოლიცია დაკავებულთა ოჯახებს მათ ადგილსამყოფელს არ უშეხლდა...იმდენად დამინებული ჰყავდათ ისინი, მედიასთან ბათუმში გადაყვანის ფაქტსაც კი მალავდნენ...

რა თქმა უნდა, მედიასთვის დღესაც მიუღებელია ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლების, ბიზნეს სტრუქტურების დიქტატი, ტექნიკური ანგარიშსწორებები, განაწილების შემთხვევაში არაჯანსაღი დამოკიდებულების ცენტრში მოქცევა — ამიტომ ოპოზიციის კრიტიკასაც უნდა მოვუსმინოთ...

შარშან, 12 ივლისს, ქ. ოზურგეთში რეგიონის მედიის წარმომადგენლებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა საპროტესტო მღუმარე აქცია გამართეს ტელეკორაქტორ ლექსო ლაშქარავას გარდაცვალებასთან დაკავშირებით...

რამდენად სამართლიანია სხდომაზე წარმოთქმული კონკრეტული კრიტიკა, ამას საზოგადოება განსჯის... არც პოზიციიდან და არც ოპოზიციიდან მედიის მიმართ ძალადობა არ უნდა წაგახალისოთ.

შესვედრა შვეიცარიის განვითარების სააგენტოს წარმომადგენლებთან



ჩონხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, **ირაკლი კუჭავამ**, შეხვედრა გამართა შვეიცარიის განვითარების სააგენტოსა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან.

შესვედრაზე განიხილეს ურთიერთანამშრომლობის შედეგად უკვე დას-

რულებული პროექტები და ისაუბრეს მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივებზე.

შესვედრას მერის პირველი მოადგილე **მაია კუჭუბიძე** და მერიის საინვესტიციო განყოფილების უფროსი **ზაზა ცინცაძე** ესწრებოდნენ.

„შინსაქმე ვაქციოთ პროფესიად“

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ქალთა ოთახში, სხვადასხვა ეთნიკური ეკვულის წარმომადგენელი ქალბატონების მონაწილეობით და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს მხარდაჭერით, გაიმართა ტრენინგი — „შინსაქმე ვაქციოთ პროფესიად“.

ტრენინგის მონაწილეებს მიესალმა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩია**, რომელმაც განაცხადა, რომ მხარს დაუჭერს ქალთა პროფესიული განვითარებისა და მათი ეკონომიკური გაძლიერებისაკენ მიმართულ ყველა ინიციატივას.

ტრენინგი, რომელიც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გენდერული საბჭოსთან თანამშრომლობით ჩატარდა, მოიცავდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა:

უწყვეტური ბიზნეს და მედიასთან კომუნიკაცია, საქმიანი იმეჯის ფორმირება, ფინანსები და საგადასახადო სისტემა მონდასაქმებულთათვის. ტრენინგის მონაწილეები, ასევე, გაეცნენ მუნიციპალიტეტში დანერგილ მოქალაქეთა ჩართულობის ინსტრუმენტებსა და ელექტრონულ პლატფორმებს.

ბანცხადება ინფორმაცია ბაზვი 2 ჰიდროელექტროსადგურის სკოპინგის ანგარიშის წარდგენის შესახებ



კავკასიის განახლებადი ენერჯის ჰოლდინგი, **CCEH**-ი აცხადებს, რომ ამა წლის 06.02.2022 წელს გარემოს ეროვნულ სააგენტოში განსახილველად წარადგინა ბაზვი 2 ჰიდროელექტროსადგურის პროექტის სკოპინგის ანგარიში. ბაზვი 2 ჰიდროელექტროსადგურის სქემა, მდინარის მოდინებაზე მომუშავე მცირე ზომის სადგურებისგან შედგება (ბაზვი 2ა და ბაზვი 2ბ), რომელიც ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მდინარე ბაზვისწყლის ხეობაში არის დაგეგმილი. სკოპინგის ანგარიში, სამინისტროში პროექტის განმახორციელებელი კომპანიის, შპს ბაზვი 2-ის სახელით შევიდა.

პროექტის ტექნიკური დანასიათება:

ჰიდროელექტროსადგურის ტიპი: ლერივაციული, ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე.

დაგეგმილი სიმძლავრე:

- ბაზვი 2ა სადგური - 11.4 მგავატა;
- ბაზვი 2ბ სადგური - 20.7 მგავატა.

გამომუშავებული ელექტროენერჯის რაოდენობა:

- ბაზვი 2ა სადგური - 48.6 გვტს.
- ბაზვი 2ბ სადგური - 88.8 გვტს.

შეუბნების დაგეგმილი ფართობი:

- ბაზვი 2ა სადგური- 0.1930 ჰექტარი;
- ბაზვი 2ბ სადგური- 0.09 ჰექტარი.

სადაწნო მილსადენის სიგრძე:

- ბაზვი 2ა - 3283 მ;
- ბაზვი 2ბ - 3750 მ.

პროექტის ინფრასტრუქტურა: სათავე ნაგებობა, თევზსავალი, მილსადენი და ჰესის შენობა

„მიგვაჩნია, რომ მდინარის კალაპოტში არსებული ჰიდროელექტროსადგურები ერთიანი პოლიტიკით უნდა იმართოს. სწორედ ეს იყო, ჩვენ მიერ მოწვეული ფრანგი ექსპერტის, პიერ ბიდერმანის ერთ-ერთი რეკომენდაცია, რომელიც მან ბაზვი 1 ჰესის პროექტისთვის შესრულებული კუმულაციური კვლევის შედეგად გავიზიარა. მან გვიჩინა, რომ გარემოზე ზემოქმედების მაქსიმალურად შემცირების მიზნით, აუცილებელი იყო მდინარე ბაზვისწყლის პერიმეტრზე არსებულ სხვა პროექტებთან კოორდინაციაში ყოფნა. სწორედ ამ რჩევამ განაპირობა ბაზვი 2 ჰიდროელექტროსადგურის პროექტი დაინტერესების გადაწყვეტილება. პროექტი დავეხვეწეთ ტექნიკური თვალსაზრისით და უკვე შევიტანეთ სკოპინგზე. ჩვენი ყველა განზრახვა თუ ქმედება ხორციელდება გარემოზე ზემოქმედების მაქსიმალურად შერბილების მიზნით.“

მდინარე ბაზვისწყალზე არსებული ჰიდროელექტროსადგურების პროექტებზე ერთი პასუხისმგებელი კომპანიის არსებობა, გაზრდის გადაწყვეტილებების მიღების ეფექტიანობას და მარტივი იქნება კონტროლის მხრივაც“ — განაცხადა **მიხეილ ნიბლაძემ**, კავკასიის განახლებადი ენერჯის ჰოლდინგის დირექტორმა.

კავკასიის განახლებადი ენერჯის ჰოლდინგი **CCEH**, მდინარე ბაზვისწყლის ხეობაში ოპერირებადი ბაზვი 3 ჰიდროელექტროსადგურის თანამფლობელია 2017 წლიდან; 2020 წლიდან, ინვესტორი კომპანია ამუშავებს ბაზვი 1 ჰიდროელექტროსადგურის პროექტს; 2021 წელს, კი ძველი მფლობელებისგან გამოისყიდა ბაზვი 2 ჰიდროელექტროსადგურის პროექტი, რომელიც განმახორციელებელ კომპანიასთან ერთად დახვეწა, გააუმჯობესა და სკოპინგის პროცედურა დაიწყო.

კავკასიის განახლებადი ენერჯის ჰოლდინგი, **CCEH**-ი ამერიკული საინვესტიციო კომპანიაა, რომლის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და რეგულაციების შესაბამისად, ასევე, IFC-ისა და EIB-ს გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მართვის სტანდარტების დაცვით. კომპანიას შექმნილი აქვს დამოუკიდებელი გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მართვის სისტემა და ყოველ ჯერზე უზრუნველყოფს აღნიშნული სისტემით განსაზღვრული წესების ზედმიწევნით შესრულებასა და დაცვას.

ჩვენ ვზრუნავთ ადამიანებზე, გარემოზე და რეგიონის განვითარებაზე.

დაფინანსებული ფართი

ანსამბლი „იალონი“ 50 წლისაა



(მარჯვნიდან მარცხნივ): შაქო თოიბე, მიხელ ჩხაიძე, ნუგზარ მდინარაძე, ვასტანე გობრონიძე, კობა ესაძე, სოფიკო ღონაძე, როზა დოლიძე, ნონა ზავთასი, ბიძინა მყავია (ანსამბლის ხელმძღვანელი), ერეკლე ლომთათიძე, დავით გუგუაძე, გიორგი ნიკოლაიშვილი, ნოდარ როფია. 2022 წ.

ანსამბლი „იალონი“ 50 წელია ემსახურება გურული ფოლკლორს. იგი 1972 წლის 16 ივლისს შეიქმნა გურული ხალხური სიმღერების პირველი სალოტარო სკოლის წარჩინებულ კურსდამთავრებულთა ბაზაზე, აწ განსვენებულ გიორგი სალუქაძის თაოსნობით. ანსამბლში 17 წევრი იყო: 4 ქალი – რუსუდან არიშიძე, გუგული ჭელიძე, ნანა ტულუში, ლიანა შვიტელი (ყველა კრიმინალური) და II-III ხმები: დიმიტრი ხომერიკი, ბიძინა მყავია, მიხელ ვაბუა, გიორგი ნიკოლაიშვილი, გური ლომინაძე, ნოდარ როფია, აკაობ ხომერიკი, გურამ ჭელიძე, გიორგი ჭანჭყაძე, კარლო ხომერიკი, თამაზ თავადაძე, ვალტერ სარიშვილი, თენგიზ მოლარიაშვილი; მუსიკოსები: ოლეგ მამალაძე, აკაკი კახიანი; აკომპანიატორი-მუსიკათმცოდნე ლილა კილაძე.

ანსამბლის შექმნიდან მალევე ბატონმა გიორგიმ იგი გაავარიოვა მოცეკვავებით. ქორეოგრაფის მოვალეობით მას ეხმარებოდა მისი მუდგულ თამარ ფარცვაძე. ამის შემდეგ სიმღერების უმრავლესობა სრულდებოდა ცეკვასთან ერთად. იმჟამად ანსამბლი ხშირად მართავდა კონცერტებს ოზურგეთის სოფლებში, სხვადასხვა რაიონებსა თუ რესპუბლიკის გარეთ.

1977 წლიდან ოზურგეთში ტარდებოდა საინტერესო ფესტივალი „გურიის გაზაფხული“, რომელშიც წარმატებით გამოდიოდა „იალონი“.

1977 წლის 24 მარტს, ანსამბლის დაარსებიდან 5 წლის თავზე, ოზურგეთში გამართა მე-100 კონცერტი.

სხვადასხვა დროს „იალონი“ მიწვეული იყო მოსკოვში, ლენინგრადში, ესტონეთში.

ანსამბლის ისტორიის ერთ-ერთი საინტერესო ფურცელია მისი მგობრობა

ბელორუსიის ქალთა ფოლკლორულ ანსამბლ „ლეონისასთან“. „იალონი“ 5-ჯერ იმყოფებოდა ბელორუსიაში და კონცერტებს უკიდურეს სასახლო რაიონებშიც მართავდა, ხოლო „ლეონისა“ 3-ჯერ ჩამოვიდა ოზურგეთში. ანსამბლები ერთობლივად მართავდნენ მეგობრულ კონცერტებს „იალონი“ მამინდელ ყველა წევრს მიღებული აქვს ბელორუსიისა და საქართველოს ფესტივალების ლაურეატების წოდება.

1980 წლის 3 იანვარს, კვლევი გიორგი სალუქაძის თაოსნობით ოზურგეთში გაიხსნა გურული ხალხური სიმღერების მთავარი გამოშვების 5-წლიანი სკოლა. სკოლის დირექტორი და საერთო ხელმძღვანელი იყო გიორგი სალუქაძე იყო, ხოლო ხალხურ სიმღერებისა და საგალობლების პედაგოგად მიიწვიეს პირველი სალოტარო სკოლის კურსდამთავრებულები: დიმიტრი ხომერიკი, ბიძინა მყავია, მიხელ ვაბუა და გურამ ჭელიძე; სადირიჟორო ხელოვნებას ასწავლიდა ვასილ ქუთათელაძე, ხოლო სანოტო სისტემას – მუსიკათმცოდნე ლილა კილაძე.

სამუშაო დღეებში პედაგოგები მსმენელებთან ატარებდნენ სიმღერის გაკვეთილებს, ხოლო ხოლო შაბათობით გიორგი სალუქაძის კონსულტაციით ტარდებოდა გაერთიანებული რეპეტიცია, სადაც მზადდებოდა საკონცერტო პროგრამა.

მე-2 ნაკადის გამოშვება მოხდა 1985 წლის 30 ივნისს. ანსამბლს დაემტნენ კრიმინალური: ნონა ზავთასი, ცინარია არიშიძე, სოფიკო ღონაძე; II-III ხმები: მამა რუსიძე, მერაბ კალანაძე, ძიმა ბაქანიძე.

გიორგი სალუქაძის გარდაცვალების შემდეგ ანსამბლს სათავეში ლობტარო დიმიტრი ხომერიკი ჩაუდგა.

2002 წელს ქ. თბილისში ჩატარდა ხალხური სიმღერების ფესტივალი, სადაც „იალონი“ მე-2 ადგილი დაიკავა და ფულადი ვილდო გადაეცა. ანსამბლი მიწვეული იყო თურქეთის რესპუბლიკაში, სადაც რამდენიმე კონცერტი გამართა.

თბილისში, არტ-გენის დაარსებიდან „იალონი“ წარმატებულად მონაწილეობდა ყველა ფესტივალში.

2005 წელს კომპოზიტორმა ზაზა კორინთელმა და რეჟისორმა ვია დიასამიძემ ანსამბლის შესრულებით ჩაწერეს 25 გურული სიმღერა; გადაიღეს „კალანდობა“ და რამდენიმე სიმღერით გამოუმუშეს ვიდეო-დისკი „აღილას“ სახელწოდებით. ანსამბლთან არსებულმა ტრიომ „აღილა“ (დ. ხომერიკი, ბ. მყავია, მ. რუსიძე) 7 სიმღერა ჩაწერეს, ხოლო ტრიომ „აკა“ (მ.სვანიძე, გ. ჭელიძე, გ. ჭანუყვაძე) ამავე წელს ხალხური სიმღერების ფესტივალის ლაურეატები გახდნენ.

2009 წლიდან ანსამბლ „იალონი“ ამ სტრიქონების ავტორი ხელმძღვანელობს. ამავე წლის 19-20 ოქტომბერს საქართველოს ფოლკლორის ცენტრმა ოზურგეთში მოავლინა ჩამწერი ვეგუვი პროფესორ ნატო ზუმბაძის ხელმძღვანელობით. მათ გენოფონდისთვის კომპოზიტორ ტრიო „აღილას“ შესრულებით 24 გურული სიმღერა ჩაწერეს, ხოლო ტრიო „აკას“ შესრულებით –15 სიმღერა.

2009 წლის ივლისში „იალონი“ არტ გენის ფესტივალზე განახლებული პროგრამით წარსდგა, რომელშიც რამდენიმე სიმღერა ცეკვასთან ერთად შესრულდა. კარგი გამოხელისთვის ანსამბლი „იალონი“ საუკეთესო ანსამბლად გამოცხადდა. ანსამბლის შესრულებით აჭარის ტელევიზიამ რამდენიმე სიმღერა ჩაწერა.

2010 წელს „იალონი“ მუსიკოსი არჩილ გუგუაძემ პოლინელ ჟურნალისტებთან ერთად სტუმრობდა. ანსამბლის

5-კაციანმა ვეგუვამ მათ ვაკე-ვარში, მოსე სვანიძის ოვასში უმასპინძლა. მათ ჩაიწერეს მაგდის მსგელობა, რამდენიმე სიმღერა და საგალობლი. ოზურგეთის სპორტის სასახლეში, გურიის ეკონომიკურ ფორუმზე პოლინეთისა და უკრაინის ელჩებსაც აჩვენა „იალონი“ თავისი ფოლკლორი, ხოლო ფორუმის მთავარ დღეს მაცურებლის წინაშე ტრიო „აღილა“ წარსდგა (ბ. მყავია, დ. გუგუაძე, მ. სვანიძე).

ტელეკომპანია „იბედი“ დაინტერესდა და მათმა გადაცემამ ვეგუვამ „იალონი“ უხუცესი წევრები მოსე სვანიძე და დიმიტრი ხომერიკი ჩაწერეს.

ანსამბლის ხელმძღვანელთან ინტერვიუში, მათ ინტერესდებოდა როგორ ყალიბდებოდა გურიაში, კრიმინალური „იალონი“ შესრულებით ჩაიწერეს „აგუნი“ ფუნდრუკით, სონარისა და ჩონგურის თანხლებით, ასევე სუიტა „რთველი გურიაში“. ტრიო „აღილა“ დოკუმენტურ ფილმშიც გადაიღეს.

2011 წელს, გონიოს ციხეზე მორიგი არტ გენი გამართა. ფესტივალში აქტიური მონაწილეობისათვის „იალონი“ საუკრად ჩამწერი აპარატურა გადასცეს. გიორგი უმიკიშვილმა კი რადიოგადაცემისთვის „იალონი“ სამი სიმღერა ჩაწერა, მათ შორის ახლად აღდგენილი ნაღური „ასკანურა“. პოლინური რადიოსთვის სტუდენტური გადაცემა „ჟაკის“ კორეპონდენტმა მაგდანელა დაბეკმა „იალონი“ და ტრიო „აღილას“ შესრულებით რამდენიმე სიმღერა ჩაწერა. ნაღური „ასკანურა“ სხვა სიმღერებთან ერთად თურქმა კინორ-ჟისორებმაც ჩაწერეს.

2013 წლის ივლისის ბოლოს, „იალონი“ ინგლისში, მსოფლიო პოლიფონიის ფესტივალზე მიიწვიეს. აქ „იალონი“ 4 კონცერტი გამართა. ამ ფესტივალზე „იალონი“ იღერა სხვადასხვა ფარის 42 სიმღერა, რომელთაც სხვადასხვა ტელევიზიები იღებდნენ, მათ შორის „ბი ბი სი“. ამ მოგზაურობის შესახებ რეჟისორმა ვია დიასამიძემ გადაიღო „მოგზაურობა ფოლკლორში“, რომელიც აჭარის ტელევიზიამ გადაიკა.

ინგლისიდან დაბრუნების შემდეგ ვიონაწილეობდით არტ გენის ფესტივალში თელავსა და სხვა ქალაქებში, სოფელ დეგაბუში, რადიანის სახლ-მუზეუმში გამართული „კალანდობაში“; 2014 წელს ურეკში მსოფლიო ფოლკლორისთვის, აკადემიკოს ხოსეს ვეგუვის მერ ქართული ხალხური სიმღერების პოლიფონიის დიდი ინტერესი გამოიჩინეს და „იალონი“ მერ შესრულებული „აგიდელა“ და ნაღური „ასკანურა“ ჩაწერეს. 2016 წელს „იალონი“ ურეკში ატვირთულ ფოლკლორულ ანსამბლთან ერთად წარსდგა მაცურებლის წინაშე.

ძალიან ლამაზი ღონისძიება გახლავთ

აჭარის ხელისუფლების მერ აჭარა-გურიის მთებში გამართული სახალხო დღესასწაული „ვაკარიმინდ-ობობა“, რომელიც ამ ორი კუთხის ფესტივებს უკავშირდება და მასში „იალონი“ რამდენჯერმე მონაწილეობდა.

2016 წელს უკრაინელმა კინოლოგ-მენტალისტების ვეგუვამ „იალონი“ გადაიღეს ფილმში „ცხოვრების ბოლო შეკითხვა“.

„იალონი“ მონაწილეობს გიორგი სალუქაძის სახელობის საერთაშორისო ფესტივალში, სადაც ქართველ და უცხოელ სტუმრებს არაერთხელ აჩვენეს თავიანთი ხელოვნება. ასევე მონაწილეობდა შავი ზღვის საერთაშორისო ფესტივალში.

ანსამბლ „იალონი“ ხელმძღვანელი თუ მისი წევრები ცდილობენ მოიძიონ დაკარგვის პირას მისული ხალხური სიმღერები. ასეთი გახლავთ სახუმარო სიმღერა „აკა“, გურინის საკრეფი სიმღერა „აგიდელა“, ასევე პროგრამაში შტანდილი გააქვს უბედურესი ნაღური „ასკანურა“. რომელიც ჩვენამდე მოიტანა აწ გარდაცვლილმა ვერასიმე ჩიტაიშვილმა. ნაღური უბედურესად ყანაში მარგვლის ან თონის დროს სრულდებოდა. აქ კი იგი შეუქმნათ ბატონყმობის ჩამოვლასთან დაკავშირებით.

ყოველწლიურად არტ გენის ფესტივალში მონაწილეობისათვის „იალონი“ ამ ფესტივალის საპატიო წევრია.

50 წლის მანძილზე ანსამბლმა დაკარგა არაერთი საუკეთესო წევრი, რომელიც ნაწილი გარდაიცვალა, ნაწილი კი სხვა ანსამბლებში გადავიდნენ იქ არსებული უფრო მაღალი ანაზღაურების გამო. დასავლეთისა და სამხრეთის ხელფასების, კვლევი ანსამბლში რჩებიან.

არ მინდა წარსულზე ლაპარაკი, მაგრამ ხელისუფლებიდან „იალონი“ ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ქ. ოზურგეთისყოფილმა მერმა ანსამბლი „იალონი“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე გააუქმა, მაგრამ ბატონმა მერამ ჭანჭყაძემ დაგვლო პატივი და მის დაქვემდებარებაში გადავიყვანა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანების შემდეგ კვლევი უწყურადღებობაში აღმოჩნდით.

ჩვენ ვსაუბრობთ ანსამბლის წევრების მიზნულ ხელფასებზე, თუცა ამას ბოვეტში თანხების ნაკლებობით ხსნიდნენ, არადა ახალი ანსამბლები გაიხსნა საბოვეტო დავინანსებით.

პარლამენტარმა არჩილ თალაკვაძემ რამდენჯერმე მაქცია ყურადღება ჩვენს ანსამბლს. იმდენ ვიტოვებთ ახლად არჩეული მერის ავთანდილ თალაკვაძის თანადგომის.

ბიბინა შაჰია,
ანსამბლ „იალონი“ ხელმძღვანელი

კვლევი ოზურგეთის ქრონიკები

ოზურგეთის ქუჩების ისტორიები

შეხლებისდაგარედა დავასრულე ოზურგეთის უბნების ისტორიები შეკრება და გამოქვეყნებასა და ვიწვეთ ქუჩების ისტორიებისა და სახელების მოძიებას ეს კოტა რთული საქმე ვფიქრობ პრეტენზი „მე ვისი ჩემი ქუჩის ისტორია“ ჩავთო სკოლის მოსწავლეები და დაინტერესებული პირები.

ოზურგეთის ქუჩების სახელწოდების შესახებ კარგ ინფორმაციას იძლევა დავით მიხეილისძე შარაშენიძის პირადი მესწერებით აღდგენილი ოზურგეთის დასახლების სტატუსური გეგმა 1905 წლის მდომარეობით, რომელიც ჩვენს მუზეუმშია დაცული. ავტორი მუშაობდა ოზურგეთსა და თბილისში 1953-1959 წლებში. ეს ნამუშევარი მან მუზეუმს გადასცა 1961 წელს.

დავიწყოთ ეგნატე ნინოშვილის ქუჩით, (ადრე კვირიკეთის ქუჩა). ეს სახელი ამ ქუჩას გასული საუკუნის ოცდამ წლებში რომ ერქვა ეს დამოდასტურა საქართველოს დამსახურებულმა ბიბლიო-

თეკარმა აწკამსენებულმა ქალბატონმა ზინა სალუქაძემ. ვთავაზობთ მის მოიხილას: „დედამედი ნინოშვილის ქუჩას ადრე კვირიკეთის ქუჩა ერქვა, მამაჩემ ვლადიმერ სალუქაძემ XX საუკუნის 20-იან წლებში იყდა სახლი ეზოთი, მამამ მას კვირიკეთის ქუჩა ერქვა, რაც დამოწმებულია ნასყიდობის წიგნით, რომ იყდა მოქალაქე ისაიდორე კვამლისკან. მეოცე საუკუნის დასასწისისათვის კვირიკეთის ქუჩაზე 14 ოვასი ცხოვრობდა: ნაკაშიძე, ანტონ კვამლი, სილოვან სკამკონაშვილი, ვლადიმერ სალუქაძე, მონსე მუჯირი, ადარან სისარულიძე, ტუსკია, პასი შაქარიშვილი, ნურია შენიშვილი, ვლიაძე, ბეგან ზუნდაძე, ივანე უგმაჯურიძე, ლალო მლაზონია. დღეს ამ ქუჩაზე 71 ოვასი ცხოვრობს, ქუჩის დასასწისში (სადაც გმირთა მოედანი და ობელისკია) ამაკო სალუქაძეს ჰქონდა ამოთხრილი კა. ჰაზე მამებრებული ჰქონდა ფეტიხი წარწერით: „მე ამაკო სალუქაძემ ამოთხარე კა., ყველა

გაბეჯულმა ვინც დალიოს დალოცვილი ქანას“ ქუჩას როდის მიენიჭა ვგანტე ნინოშვილის სახელ ზუსტად არ ვიცი.“

ეგნატე ნინოშვილის ქუჩა მდებარეობს სერის უბანში, იწყება გმირთა მოედნიდან და მთავრდება გრიშაშვილის ქუჩის დასასწისამდე. როგორც აღინიშნეთ ამ ქუჩას ადრე კვირიკეთის ქუჩა ერქვა და მას ეს სახელი 1930 წელს უნდა მიენიჭებოდა, რადგან სკოლა სადაც სწავლობდა ეგნატე ნინოშვილი (ყოფილი სასულიერო სასწავლებელი) ახლანდელი №1 საჯარო სკოლა 1930 წელს მიენიჭა მისი სახელი ადბათ სკოლას და ქუჩასაც ერთდროულად მიენიჭებოდა მისი სახელი.

ეგნატე თიმას ძე ნინოშვილი (ინფორმაცია 1858-1894) დაიბადა ლანჩხუთის რაიონის სოფელ ყელაში. ერთი წლის იყო როცა დედა გარდაეცვალა და მისი აღზრდა მამამ ითავა მან შესასწავლა 7-8 წლის ეგნატეს ანანი, 1870 წელს ეგნატე მიბარეს ერთ მღვდელს, რომელმაც ლოცვები და

სუკური შესასწავლა. მამიდას სიყვარულით ეგნატემ სამწერლობო ფსევდონიმად მისი სახელი აიღო. 1871- 1875 წლებში სწავლობდა სოფლის ორკლასიან სკოლაში.


1876 წელს შევიდა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში (ახლანდელი №1 საჯარო სკოლა). სასწავლოში გაფიცვაში მონაწილეობის გამო „მგლის ბილითი“ ვარიცხული იქნა სასწავლებლიდან. 1878 წელს შეძლო ექსტერნად გამოცდების ჩაბარება. გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ მასწავლებლის მოწმობა და მუშაობა დაიწყო სოფელ ჩონხათში მასწავლებლად, სადაც მუშაობდა 1882 წლამდე. ცოდნის გაღმავების სურვილმა აიძულა თავი დაენებებინა მასწავლებლობისათვის და გამოეცვალა ბეჯინ პროფესორს, ასოთამწყობი თბილისის სტამბაში (1884), მიხედვით მუშაობდა სოფლის კანცელარიაშიც ყო მტვირთავი ბათუმის ნავსადგურში, მუშაობდა შვე მუშად როტმოდლის ქარხანაში. მძიმე ფიზიკურმა შრომამ შეარყია მისი ჯანმრთელობა.

1886 წლის 26 ნოემბერს ამანაგების დახმარებით გაეშვა ზურა საფრანგეთში, სამეგრელოდან გემით ჩავიდა მარსელში, შემდეგ გადავიდა მონპელიემში. საფრანგეთში ცხოვრება ძალიან გაუჭირდა. ერთ-ერთი მისი ბიოგრაფის ცნობით ქუჩის დამგველად კი მუშაობდა.

1877 წლის აპრილიდან საზღვარგარეთიდან ჩამოსულმა გრიგოლ გურიელთან დაიწყო მუშაობა იგი გურიელის ბიბლიოთეკაში მუშაობდა და ხარადა ეწაფებოდა წიგნებს. ამ დროს იგი თანამშრომლობდა ივრიაში, ბეჭდავდა ფელეტონებს და წერილებს, ვაჟიერი ეძლეოდა თვეში 10 მანეთი. აქ დაიწო მან მწერლობა და მუშაობდა ისტორიულ რომანზე „ჯანყი გურიამში“

1890 წელს მუშაობას იწყებს ყვირიაში (ზესტაფონი) ნ. დობოტრისის შვი ქვის კანტორაში მძიმე და მოქმენც-

იური სისარულიძე



ასისტენტის თანამდებობაზე. 1953 წელს იური სისარულიძემ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „გურიის 1841 წლის აჯანყება“. 1954 წელს იგი აირჩიეს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტად.

იური სისარულიძემ 1969 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ქართველი ხალხის ბრძოლა თათარ-მონღოლთა მფლობელობის წინააღმდეგ XIII-XIV საუკუნეებში“; 1974 წელს აირჩიეს პროფესორის თანამდებობაზე. 1979 წლიდან სათავეში ედგა საქართველოს არქიტექტურის კავშირის ბათუმის სამუშაო კვლევითი მუშეუმის ისტორიის განყოფილებას. 1983 წელს იური სისარულიძე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში წარადგინეს, ხოლო 1987 წელს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში, თუმცა ორივე შემთხვევაში დამოუკიდებელ მიზეზთა გამო არ მოხდა მისი არჩევა.

იურის სისარულიძის ისტორიით დაინტერესება ექვთიმე თაყაიშვილთან შეხვედრამ გამოიწვია, რომლის რჩევით ისტორიის ფაკულტეტზე ჩააბარა და მისი მითითებითა თუ რჩევებით ამ სფეროში დაიწყო მოღვაწეობა. იური სისარულიძემ ჯერ კიდევ სტუდენტობისას პროფესორ სიმონ ყაუხჩიშვილის ხელმძღვანელობით რამდენიმე ისეთი ნაშრომაც შექმნა, რომელმაც სამეცნიერო წრეების ყურადღება მიიპყრო.

იური სისარულიძის წარმატებას მისი ძველ ენებში დახელოვნება განაპირობებდა. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მეცნიერი შეუდგა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სისტემურ ტოპონიმოკურ აღწერას და მართებულად დაიმსახურა „საქართველოს სისტემური ტოპონიმოკური კვლევის პიონერის“ სახელი, მის ნაშრომებს ისტორიულ გეოგრაფიაში მაღალ შეფასებას აძლევდნენ აკადემიკოსები: აკაკი შანიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, ნიკო ბერძენიშვილი, სერგი ჯიქია, გიორგი მელიქიშვილი და ა.შ. თუმცა იური სისარულიძის მოღვაწეობა მხოლოდ ისტორიული გეოგრაფიით როდი შემოიფარგლა, მან მრავალი საინტერესო სტატია უძღვნა ქართული ლიტერატურის ისტორიას, ქართულ მედიცინის ისტორიას, ფოლკლორს, სამართლის ისტორიას, საქართველოს პოლიტიკურ ისტორიას, ბიზნესის ისტორიას, სხვადასხვა მოღვაწეთა ბიოგრაფიებს და ა.შ. მონაწილეობდა თუ ხელმძღვანელობდა არაერთ

არქეოლოგიურ თუ ეთნოგრაფიულ ექსპედიციას. აღსანიშნავია იური სისარულიძის პედაგოგიური მოღვაწეობა, ის სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებებში (ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი, თელავის პედაგოგიური ინსტიტუტი და ა.შ.) კითხულობდა პალეოგრაფიის კურსს, არქეოლოგიას, სამართლის ისტორიას, საქართველოს ისტორიას, მუსიკალურ ფოლკლორს და სხვ. მან პედაგოგიურ სარიტუალო ასისტენტიდან პროფესორამდე უკლებლივ ყველა საფეხური გაიარა, არჩეული იყო კათედრის გამგედაც. ცალკე აღნიშვნის ღირსია ის ღვაწლი, რაც მან დასდო ქართულ ხალხურ მუსიკალურ ფოლკლორს. ის ბავშვობიდანვე მჭიდროდ იყო დაკავშირებული სახალხო ანსამბლებთან, თავადაც შესანიშნავი კრიმანჭულის ოსტატი, არამარტო ძეგროდა, არამედ ლექციებსაც ატარებდა და მეცნიერულად იკვლევდა ხალხური სიმღერებთან დაკავშირებულ არაერთ საკითხს.

იური სისარულიძის შრომებიდან 25 ცალკე წიგნადაა გამოცემული, ამას გარდა 800-ზე მეტი საჟურნალო და საგაზეთო წერილიც აქვს გამოქვეყნებული. დიდა მისი ღვაწლი საქართველოს ისტორიული რუკების შექმნაში. იური სისარულიძის მოღვაწეობის სფერო მეტად ფართოა და მოიცავს მრავალ საკითხს, თუმცა უპირველესად უნდა აღინიშნოს მისი შრომები საისტორიო გეოგრაფიაში, მან ფუნდამენტური სოფელ-სოფელ შემოიარა საქართველოს თითქმის ყველა კუთხე და შეაგროვა უძლიერესი ტოპონიმოკური მასალა. 1958-59 წლებში გამოქვეყნდა მისი ორტომიანი ნაშრომი „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმოკა“, რომელსაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა სამეცნიერო წრეებში. ხოლო 1977-79 წლებში კი „ჭანეთი (ლაზეთი)“ (აღნიშნული ნაშრომის მესამე ტომის გამოქვეყნება ავტორმა ვერ შეძლო გარკვეულ მიზეზთა გამო); 1985 წელს „ნიგალი (ლივანა)“, 1987 წელს „შავშეთი-მერხვეი“ და ა.შ. „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებულებში“ პერიოდულად ქვეყნდებოდა მისი სამეცნიერო, შუა და ზემო გურიის ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერილობა.

ი. სისარულიძემ დიდი შრომა გასწია ფერისათვის, ოდიშის, ქუთაისის სამოქალაქოს, სვანეთის, სამურზაყანოს და სხვა გეოგრაფიული ადგილების ისტორიულ-ტოპონიმოკური კვლევისათვის. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს იური

სისარულიძის საკვლე ისტორიულ-გეოგრაფიული ძიებანი შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროებზე (სოჭის, ტუაფესის, ნიკოფისის მიდამოები) და აფხაზეთში. იური სისარულიძის განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში იყო ასევე საქართველოს ყოფილი სამხრეთ რეგიონები: ტაო, კლარჯეთი, შავშეთი, სპერი, ბასიანი, კარნიფორი, ყაიყული, აბოცი და ა.შ. ასეულობით ნაშრომი თუ ცალკეული სტატია უძღვნა აღნიშნულ საკითხებს, რომელთა ნაწილი გამოქვეყნდა, ნაწილი კი ხელნაწილისა თუ ხელნაბეჭდის სახითაა შემორჩენილი.

იური სისარულიძის ინტერესის სფეროში ქართული ფოლკლორიც შედის, 1974 წელს გამოიცა მისი „ქართული ხალხური პოეზია“. ფოლკლორთან დაკავშირებული ავტორის ცალკეული სტატიები სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებშია გაბეჭდილი. იგი აქტიურად თანამშრომლობდა გაზეთ „ალიონთან“.

განსაკუთრებით აღსანიშნავია იური სისარულიძის ღვაწლი ტბელ აბუსერიძის ბიოგრაფიის, აბუსერიძეთა გენეალოგიის და ტბელის მემკვიდრეობის საკითხის კვლევაში. ი. სისარულიძემ პირველად უჩვენა დასაბუთებულად ტბელის ვინაობა. 1963 წელს ტბელს ცალკე წიგნი უძღვნა, 1979 წელს ასევე გამოიცა ტბელისადმი მიძღვნილი წიგნი „ნათელი დაუღამებელი“. ხოლო ცოტა ხანში ვრცელი კომენტარებით გამოსცა ტბელის ავოგრაფიული თხზულება „სასწაული წმინდისა მთავარმოწამისა გიორგისანი“, რომელშიც შეგუბებულია ავტორის 30 წლიანი ძიება.


იური სისარულიძე იყო ვაჟა ფშაველასა და ივანე ჯავახიშვილის პრემიების ლაურეატი, თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პირველი რექტორი.

სამეცნიერო მღვაწეობას ეწეოდნენ მისი მეუღლე ლაურა გოგოლაძე, შვილები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი გიორგი სისარულიძე, ასევე მეცნიერი, საქართველოს მე-3 მოწვევის პარლამენტის წევრი ზაზა სისარულიძე. სამწესობრივად, ისინი ნაადრევად წაივდნენ საწუთროდ.

წავიდა ჩვენგან სამშობლოზე უზომოდ შეგვარებული კაცი, დიდი ექვთიმე თაყაიშვილის ბოლო მოწაფე. უფალმა ცაათა სასუფეველი დაუკვიდროს.

მომზადებულია

ოზურგეთის ქუჩების ისტორიები



ელ სამუშაოზე ეგნატე ჭლეკით დაავადდა. ეგნატე ნინოშვილი აქტიურად მონაწილეობდა რევოლუციურ საქმიანობაში. 1892 წლის დეკემბრის ბოლოს მისი და მისი ცხაკაის ინციატებით გაიმართა ზესტაფონის კრება. ეს იყო „მესამე დასის“ პირველი არაოფიციალური კრება. 1890-1891 წლებში ცალკე წიგნად გამოიცა „სიმონა“ და რამდენიმე მოთხრობა. „პლისტონის ტბა“, „უცნაური სენი“, „არმიანი“ 1893 გამოიცა „ქრისტინე“. მის ნაწარმოებებში ასახულია მშრომელი ხალხის ყოფა. ეგნატე ნინოშვილი გვევლინება ჩაგრულთა თავდადებულ ქაშაყად და მათი უკეთესი მომავლის მებრძოლად. მძიმე სენით (ჭლეკით) დაავადებული გარდაიცვალა 36 წლის ასაკში. მის დაკრძალვაზე სიტყვა წარმოთქვა სიღბისტრო ვიბლახერმონიძემ გამოამხეურა და საზოგადოებას წარუდგინა „მესამე დასის“ პოლიტიკური პროგრამა, როგორც მამნ ამბობდნენ მისი დაკრძალვა პოლიტიკურ დემონსტრაციად გადაიქცა. აკაკი წერეთელმა ეგნატე ნინოშვილს „მომავლის გაზაფხულის პირველი

მერცხალი“ უწოდა. ნინოშვილის ქუჩის შესახებ თავისი მოგონება გადმოგვცა ქალბატონმა თინა ხელიძემ. „სურვილი მქვს ცოტა რამ მოგიყვებოთ ოზურგეთში ნინოშვილის ქუჩის და მისი მცხოვრებლების შესახებ, რაც ჯერ არ დაწერილა. ბევრმა არ იცის, რომ დიდი კომპოზიტორი ბატონი ორნ ტუსკია იყო ოზურგეთელი ნინოშვილის ქუჩის მცხოვრები. ტუსკიებს მონადირე ეზო ნაყდი ჭიხნდით გურიის თავად ქაიხოსრო გურიელისაგანა მის შესახებ ცოტა ქვემოთ მოგახსენებთ. ახლა ბატონ ტუსკია შესახებ: დაახლოებით 1947 თუ 1948 წელს ნინოშვილის ქუჩაზე კვანძების ოჯახში უბერური შემთხვევა მოხდა გარდაცვალათ ბატონი ვაჟიშვილი. დაკრძალვაზე ჩამოვიდა თბილისიდან ბატონი ორნ. დაკრძალვამდე დარჩა მისი აკაკი ტუსკიას ოჯახში ბატონი ორნმა გარდაცვლილ ბავშვს ლექსი დაუწერა შეგკარაბა მუხობლის ბავშვები და თითოეულს წაგვკათხა ის ლექსი. შეკრებულ ბავშვებში მე ბონი ყველაზე ბატონი ვაჟი და თანაც

აღბათ მიეწონა ჩემ წაკითხული ლექსი დამავალა მესწავლა და დაკრძალვის დღეს წამკითხა ლექსი აძლევდნენ და მტონბარე იყო დიდხანს მასხვდა, ამჟამად მხოლოდ ბოლო სწორი მასხვდა: „არ შეეშინდეს ძამკო, ანტონ ბაბუჯ მაქარის“ რამდენიმე დღეში ბაჭონი ორნ წავიდა თბილისში ეზობლები მის ივონებდნენ, როგორც კონტაქტურ, გულისხმობენ და თბილ ადამიანს რამდენიმე წლის დახლოებით 7-8 წლის შემდეგ მისმა ძმმა აკაკიმ ვაჟად სახლ-კარი, დღემდე მის კარმდამო აყდენს თავის ალაღ ბიძაშვილს მაკარი ჭანიშვილს, რომლის მშობლები დღესაც იქ ცხოვრობენ. ვაჟად დრო და იმე ეზოში ცნობილ რეჟისორმა სოკო დოლიძემ ფილმ „ჭრიჭინას“ ბილითიეის სცენები გადაიღო. მთელი 15 დღის განმავლობაში ჩვენს თვალწინ იდგნენ და მუშაობდნენ: ლეოლა აბაშიძე, სანდრო უორუელიანი და სხვები. უამრავი ოზურგეთელი იკრიბებოდა და უუერებდა ამ სანახაობას.

კვირიკეს ქუჩაზე იდგა ქაიხოსრო გურიელის (მამა მესუთე გურიელის გამწრდელი ბიძა მღ.) სახლია მის შესახებ თელი სახლია თავის „მოგზაურობაში“ წერდა: „როცა ოზურგეთიდან გავდით ვაგებზე მხარულმა კამხანამ მოიყარა თავი... ქალაქიდან გავდით ივრამ კარგა ხანს ვერ შევამჩნიე საზღვარი სოფლის და ქალაქს შუა, ისე ჰყავს ერთი მთიერეს, ისე ცოტა იყო მთ შორის კონტრასტი, მარჯვენე დავერჩა ფერდობზე წამოვდებოდი ორსართულიანი სახლი ქაიხოსრო გურიელისა, გურიის ეპისკოპოსის გარეულის (ტუსკიას) მიერ შექმნილი, სადაც ეს უკანასკნელი 1882 წელს გარდაიცვალა.“ (თ.სახლია „მოგზაურობანი“ გვ.47).

„სწორედ ის ეზო და სახლი მდებარეობს შემორჩენილი საგულისხმო ნაშთები 1935 წელს იყდა მამარქმას დიმიძე ხელიძემ, როცა მელუქედორიდან ოზურგეთში გადასახლდა. აქვე ვაგზარდეთ ჩვენ მისი შვილები: მერი, ლეოლა და თინა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ქაიხოსრო გურიელის სახლი ტუსკია გეუთნოდა თითქმის ახლანდელი ხუთი ან ექვსი ოჯახის ეზოები თანამდევრობით. ამჟამად ქაიხოსრო გურიელის

ნაფეძარზე ცხოვრობს ჩემ და ლეოლა ხელიძე ქარ – შვლით- ბათუმის უნივერსიტეტის პროფესორები უნი და ვახტანგ მესამეძეები. ჩვენს ოჯახში შემორჩენილია უზარმაზარი ოთხკუთხა ორმო, ორგვლივ ქვითკირით ამოშენებული, ზედ სასახლე იდგა გვერდით ელვუა ახალაბის ეზოში კი დიდი ორმო იყო მამჩემ ამბობდა ალაბთ სამცხერე იყო, ვადალმ კოდეზე იყო მწაბში გამოთხრილი დიდი აფელი ჩვენ „აკოუს“ ვებსხდით და თამბასას ყველა ბავშვი ვჭერებოდით შგ და ვიძლუბოდით.


განსაკუთრებით მძაღრულად იყო გაშენებული ჩვენი ეზო უცხო მცენარეების, სახლის წინ იყო რამდენიმე ფიხიას მონადირე ბუჩქები ჩვენ ბავშვებს და უფროსებსაც მისი ნაყოფი არასოდეს გავგისინჯავს. ტრიფოლიანტის ნაყოფს ადარებდნენ და გვიმლოდნენ მის ჭამას. ნაყოფს თამბასას ვესროლიდა ერთმანეთს. ეზოში იდგა მწკობრად გაშენებული ოცი ძირი საუკეთესო ვიშის ხეობა ასევე გვერდით მხარეს მთელ სიგრძეზე შვი(ნაცარა) გამლის ხეები. თითქმის ყველა ეზოში იყო ძალიან დიდი თუთის ხეები ჩვენს გვერდით ელვუა ახალაბის ეზოში აბილის ბლის ხეები იდგა. ჩვენს ეზოში იდგა დიდი ბა მსხლის ხე.

ფიხიას მნიშვნელობა მამნ არ ვიციდიდივ ვიდა 40-45 წელი და ფიხიას მოაშენეს ნარუჯაში, მამნე შეეცანი ჩემს ყოფილ ეზოში არსებული ფიხიას. ჩემს მუდლემ მისი რამდენიმე წერე აჭარბა დღეს უწ დასამბეს აჩუქა, რითაც დიდად ვახარა.

ადრე კინოფილმების ჩვენებამდე ფილმს წინ უძლიდა ჟურნალის ჩვენება. თუკი ოზურგეთზე უნდა გადავლით აუცილებლად ჩვენს ეზოში მოდიოდნენ დანაჯარებით და იქედან აღებდნენ ოზურგეთის დიდი ნაწილის ხელს. სწორედ ნინოშვილის ქუჩაზე შო ვიგუაძისა და ნინა ვიგუაძის ეზოებში იყო საუცხხოდ გაშენებული ფიხიების მდებარეობა. სვანის ოზურგეთში არსდა არ იყო, როგორც ამბობენ, თორემ უცხოელების მიერ იყო გაშენებული. ბაღი ბუჩების ხეებით იყო შემოსაზღვრული შგნით უღამხესი ვარდები იყო გაშენებული. ჩემს საყვარელი ლუბა

ეროვნული მოძრაობა რევოლუციის პერიოდში

ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა რუსეთის სახელმწიფო საბჭოში



რუსეთში **სახელმწიფო სათაბიროს** შემოღებასთან დაკავშირებით გადაწყდა სახელმწიფო საბჭოს რეფორმა. წინათ სახელმწიფო საბჭოს წევრებს იმპერატორი ნიშნავდა. ამიერიდან იმპერატორის მიერ დანიშნულ წევრებთან ერთად სახელმწიფო საბჭოში არჩეულნი იქნებოდნენ. 1906 წლის 20 თებერვლის მანიფესტით, სახელმწიფო საბჭოს დანიშნულ წევრებს უფლებრივად გაუთანაწოროდნენ **არჩეული წევრები**. სახელმწიფო საბჭოს წევრების არჩევა ხდებოდა თავადაზნაურობის, ერობების, მეცნიერების, ვაჭრების, მრეწველებისაგან. სახელმწიფო საბჭოს წევრად შეიძლება არჩეული ყოფილიყო რუსეთის იმპერიის მოქალაქე, რომელსაც შესრულებოდა 40 წელი, დამთავრებული ჰქონდა თუნდაც საშუალო სასწავლებელი. სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს იმპერატორი ნიშნავდა არა არჩეული, არამედ დანიშნული წევრებისაგან.

სახელმწიფო სათათბირომ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს (პარლამენტის) **ქვედა პალატის** ფუნქცია შეიძინა, ხოლო სახელმწიფო საბჭომ — **ზედა პალატისა**. კანონპროექტის განხილვა უნდა დაწყებულიყო სახელმწიფო სათათბიროში, მოწონებული პროექტი გადაეცემოდა სახელმწიფო საბჭოს. თუ კანონპროექტი სახელმწიფო საბჭოშიც მხარდაჭერას მიიღებდა, მას კანონის ძალა იმპერატორის ბრძანებულებით ენიჭებოდა.

სახელმწიფო საბჭოში ილიას დროს, 1907 წლის 1 იანვრამდე დანიშნული იყო 101 კაცი, ხოლო არჩეული - 97, სულ — 198 წევრი. 1907 წლის 1 იანვრიდან მათ დაემატა 6 დანიშნული და 7 არჩეული წევრი, სულ 13 ახალი წევრი, რომლებმაც ჩანაცვლეს ძველი წევრები. სახელმწიფო საბჭოს ახალი შემადგენლობის პირველი სესიის პირველი სხდომა გაიხსნა 1906 წლის 27 აპრილს.

სახელმწიფო საბჭოს წევრს საყოველთაო კენჭისყრით არ ირჩევდნენ. ეს უფლება ამრჩევებს

ჰქონდათ მინიჭებული. საქართველოში თავადაზნაურობას 4 ამრჩევი უნდა აერჩია — 2 თბილისისა და 2 ქუთაისის გუბერნიებიდან. 1906 წლის 4 მარტს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის საკრებულოს კომისიამ თბილისის გუბერნიიდან სახელმწიფო საბჭოს წევრის ამრჩევებად **ილია ჭავჭავაძისა და მიხეილ გედევანიშვილის** კანდიდატურები დაასახელა. 9 მარტს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის კრებამ სახელმწიფო საბჭოს წევრთა ამრჩევებად ილია ჭავჭავაძე და მიხეილ გედევანიშვილი აირჩია. ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობამ თავიანთ ამრჩევებად **ვლადიმერ მიქელაძე** და **ანდრია ერისთავი** დაასახელა. **ილია ჭავჭავაძეს, მიხეილ გედევანიშვილს, ვლადიმერ მიქელაძეს და ანდრია ერისთავს** რუსეთის იმპერიის თავადაზნაურობის სხვა 70 ამრჩევთან ერთად 1906 წლის აპრილის დასაწყისში პეტერბურგში მოწვეულ ყრილობაზე უნდა აერჩიათ სახელმწიფო საბჭოს 18 წევრი, რომელთაგან ერთი წევრის ადგილი ამიერკავკასიას, კერძოდ, საქართველოს ერგო. სრულიად რუსეთის თავადაზნაურთა საარჩევნო ყრილობა პეტერბურგში ჩატარდა 1906 წლის 6-8 აპრილს. 7 აპრილს ილია ჭავჭავაძე აირჩიეს სახელმწიფო საბჭოს წევრად. ილიამ 61 ხმა მიიღო, მისი არჩევის წინააღმდეგ ხმა მისცა 17 კაცმა.

რუსეთის სახელმწიფო საბჭოს პირველი სესიის გახსნა 1906 წლის აპრილის ბოლოსათვის იყო დაგეგმილი. ილია ჭავჭავაძე პირველი სესიის მუშაობაში მონაწილეობდა 7 ივლისამდე. 1906 წლის 26 მაისს, სახელმწიფო საბჭოს მეხუთე სხდომაზე, დაამტკიცეს ილია ჭავჭავაძის არჩევა სახელმწიფო საბჭოს წევრად და ცნობილი იქნა მისი უფლებამოსილება.

1906 წლის 22 ივნისს ილია ჭავჭავაძე პირველად გამოვიდა რუსეთის სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე. იხილებოდა საკითხი საბჭოს შინაგანაწესიდან ზოგიერთი მუხლის ამოღებისა და შესწორებების

თაობაზე. დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში სიკვდილით დასჯის გაუქმების თაობაზე კანონპროექტის განხილვამ. იმხანად რუსეთი სიმპერიაში სიკვდილით დასჯა ხდებოდა როგორც წლების განმავლობაში მოქმედი კანონით, ისე იმპერატორის ბრძანებით შექმნილი სამხედრო-საკვლევ სასამართლოების განაჩენის საფუძველზე. რუსეთში პოლიტიკოსთა და ცნობილ იურისტებისგან საკუთრებულა დშფოთებას-იწვევდასამხედრო-საკვლევ სასამართლოებისათვის სიკვდილით დასჯის განაჩენის გამოტანის უფლების მინიჭება. რევოლუციის კერების განადგურების მიზნით რუსეთის იმპერიის მთელ ტერიტორიაზე საგანგებოდ შექმნილი ბევრი სამხედრო-სადამსჯელო ექსპედიცია მოქმედებდა. ექსპედიციის უფროსს, გენერალ სან უფროს ოფიცერს, შეეძლო მის სამოქმედო ტერიტორიაზე სამი უფროსი ოფიცრის შემადგენლობით რამდენიმე სამხედრო-საკვლევ სასამართლო შეექმნა, რომელთაც სიკვდილით დასჯის განაჩენის გამოტანის უფლება ჰქონდათ. არხდებოდასაქმიანობაშია, არარსებობდასაპროკუროროზედამხედველობა, ბრალდებულსარჰქონდაადვოკატისაფვანისუფლება, არ ხდებოდა გამოტანილი განაჩენის გასაჩივრება. განაჩენი ძალაში შედიოდა გამოტანისთანავე და უნდა აღსრულებულიყო 24 სათისამოწურვამდე.

სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ კანონპროექტი განიხილა რუსეთის იმპერიის პირველმა სახელმწიფო სათათბირომ. განხილვამია ქტიური მონაწილეობა მიიღოდა შესანიშნავი სიტყვა წარმოთქვა **ისიდორე რამიშვილმა**. სახელმწიფო სათათბირომ 1906 წლის 19 ივნისს კანონპროექტი მოიწონა და განსახილველად გადასცა სახელმწიფო საბჭოს. საბჭოში კანონპროექტის განხილვა 27 ივნისისათვის დაიწინა. სახელმწიფო საბჭოს წევრთა ჯგუფმა, 10 კაცმა, რომელთა შორის ილია ჭავჭავაძეც იყო, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს, **ელვარდ ფრიშს**, საპროტესტო წერილით მიმართა, რომელშიც აღნიშნული იყო:

"განხილვა სახელმწიფო სათათბიროს კანონპროექტისა სიკვდილით დასჯის შესახებ, შეტანილი სახელმწიფო საბჭოს 1906 წლის 27 ივნისის დღის წესრიგში, დასმულია მეორე ადგილზე. ამ საკითხის დიდი მნიშვნელობისადა მისი ძალიან სწრაფად გადაწყვეტის აუცილებლობის გამო გვაქვს პატივი გთხოვით:

1. დასმული იქნას ეს საკითხი პირველ რიგში, განაწესის განხილვამდე;
2. კანონპროექტის განსახილველად არჩეულ კომისიას მიეცეს წინადადება, რათა მან განსაზღვრულ, მაგრამ შეძლებისამებრ მოკლე ვადაში წარმოადგინოს თავისი დასკვნა;
3. იმის გამო, რომ დროებითი ხელმძღვანელობისათვის მიღებული განაწესი შეიცავს მრავალ პუნქტს, რომლებიც, ჩვენი მოსაზრებით, მოთხოვს შეცვლას როგორც შემავიწროებელი და მიუღებელი, განაწესის განხილვას დაეთმოს მთელი დრო, რაც

თავისუფალია კანონპროექტის განხილვისაგან, და არ შეწყდეს საბჭოს სხდომა განაწესის საბოლოო დამტკიცებამდე".

სახელმწიფო სათათბიროდან შემოსული სიკვდილით დასჯის გაუქმების კანონპროექტის წინასწარ განსახილველად არჩეულ იქნა კომისია 15 კაცის შემადგენლობით, რომელშიც ილა ჭავჭავაძე არ აღმოჩნდა. კომისიას 8 ხმით 7-ის წინააღმდეგ მიუღია კანონპროექტი, რომელიც მოითხოვდა: „სიკვდილით დასჯის აუცილებელ გაუქმებას, გარდა ხელმწიფის, დედოფლის და მემკვიდრეთა სიცოცხლის ხელყოფის და სახელმწიფოს დალატის განსაკუთრებული შემთხვევისა. კანონის გაუქმება, პირველყოფისა, უნდა გავრცელდეს ქალებზე, მცირეწლოვან ახალგაზრდებზე და 70 წელს გადაცილებულ მოხუცებზე“. ამ დადგენილების მიღებიდან მალე იმპერატორ ნიკოლაი II-ის 1906 წლის 8 ივლისისა და 10 ივლისის ბრძანებებით, დათხოვნილი იქნა როგორც პირველი სახელმწიფო სათათბირო, ისე სახელმწიფო საბჭო. ამის გამო კომისიამ ისე შეწყვიტა მუშაობა, რომ დაწყებული საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა.

სახელმწიფო საბჭოს მეორე სესიამ მუშაობა დაიწყო 1907 წლის 20 თებერვალს და გასტანა 5 ივნისამდე. შესაბამისად, სახელმწიფო საბჭოს მიერ არჩეულ კომისიას სიკვდილით დასჯის გაუქმების კანონპროექტის შესამუშავებლად მუშაობა უნდა განაახლებინა, მაგრამ 1907 წლის 22 თებერვლის სხდომაზე კომისიამ ხმების უმრავლესობით დაადგინა, რომ ამჟამინდელ ვითარებაში კომისიამ უნდა შეწყვიტოს მუშაობა, რადგან პირველი სახელმწიფო სათათბირო, საიდანაც შემოსულია სიკვდილით დასჯის გაუქმების კანონპროექტი, იმპერატორის 1906 წლის 8 ივლისის ბრძანებით დათხოვნილია და მის მიერ მიღებულ დადგენილებას ძალა აღარ აქვს. ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ კომისიის 15 წევრიდან გაილაშქრა მხოლოდ ორმა - პროფ. ნ. ტაგანცევმა და ს. პლატონოვმა.

ილია ჭავჭავაძე სახელმწიფო საბჭოში მიემხრო პროგრესულად განწყობილ ჯგუფს, ე. წ. აკადემიურ ჯგუფს, რომელშიც შედიოდნენ საბჭოს არჩეული წევრები, უმთავრესად მეცნიერები და ლიბერალი მოღვაწენი. სიკვდილით დასჯის მოსპობის შესახებ ვრცელი მოხსენების შედგენა ილია ჭავჭავაძეს უკისრია. მას ეს მოხსენება სახელმწიფო საბჭოში უნდა წაეკითხა. ილიას მოხსენება დაუწერია, მაგრამ მისი ტექსტი დღემდე მიკვლეული არ არის. შემონახულია მხოლოდ შავი, კონსპექტური ჩანაწერები ქართულ და რუსულ ენებზე, რომელსაც აქ მთლიანად მოვიყვანთ:

„1. გრძნობაც ერთი დარგია ცნობადობისა, და საჭიროა - როცა ჭკუა მოკლებულია შეძლებას გაიგოს რამე. შექსირმა გრძნობით სასწაულები მოახდინა ცნობისა და ცოდნისათვის. გრძნობა სულიერი — მარტო ადამიანის ნიჭია.

2. ჰო და არა, რაც კი თქმულა სიკვდილის თაობაზე, რომ სასწორზე დაიდვას, არა მგონია, ისე თვალსა-

ჩინოდ გადაიხაროს ან ჰოს და ან არასკენ, რომ ამ გადახრამ დაარწმუნოს ვინმე და სხ. სხ.

3. ხოლო სამი რამ საბუთია წინააღმდეგ სიკვდილით დასჯისა:

ა) აჩლუნგებს გრძნობას ბუნებრივს, რომელსაც სისხლი ეზიზღება და ხშირის ნახვით - კი ყურიც ეჩვევა და გრძნობაც, მაგ. ეხლა სიკვდილი ისეთი ჩვეული რა ამაგია, ??? უმღვრევს გულს და ყურადღებასაც არ იქცევს; ბ) არყვეს ზნეობას, რადგანაც **ართმევს იმას, რის მიცემაც არ შეუძლიან;** გ) შეცდომა დასჯისა აღარ სწორდება და უდანაშაულოს ჰკლავს.

4. ეწინააღმდეგება ქრისტიანობას, რომელიც დაფუძნებულია სიყვარულზე (ჰენეს სიტყვა: მე მტერი მიყვარს მხოლოდ მაშინ, როცა ვხედავ სახრჩობელაზე ჩამოკიდებულს).

5. მთელი ქვეყანა თხოულობს [სიკვდილით დასჯის მოსპობას] და თუ ბანის მიცემაში შეცვლით, ნუგეში იმაშია, რომ ავეყვით ხმას ღვთისას, რადგან ხმა ერისა არის ხმა ღვთისა.

6. საბუთად მოყვანა იმისი, რომ სიკვდილით დასჯა ამრავლებს თუ აკლებს დანაშაულებას, - არაფერს არ მოასწავებს, რადგანაც დანაშაულობის სიმრავლე სხვა ათასნაირ მიზეზებზეა დამოკიდებული.

[6.] ჰო და არას საბუთებ შორის ერთი რამ არის ზოგადი: ერთიცა და მეორეც ხელშესახებ საფუძველზე არ არის დამყარებული და წარმოადგენენ მარტო მრწამსს როგორც ერთისას, ისეც მეორისას. აქ მარტო დიალექტიური ღონისძიებაა ერთმანეთის დასაჯერად მიმართული."

სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა სახელმწიფო საბჭოში სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ ილია ჭავჭავაძის გამოსვლის თაობაზე: მკვლევართა ერთი ნაწილი იმ აზრისაა, რომ ილია ჭავჭავაძე 1907 წელს სახელმწიფო საბჭოს მეორე სესიაზე გამოვიდა სიკვდილით დასჯის კანონის გასაუქმებლად, ოღონდ, მთავრობას აუკრძალავს მისი გამოქვეყნება და სტენოგრაფიულ ანგარიშებსა თუ პრესაში ეს გამოსვლა არ ასახულაო. ასეთი რამ იმხანად წარმოუდგენელი იყო. ხელისუფლებისათვის გაცილებით უფრო მიუღებელი სიტყვები უცვლელად დაიბეჭდა სახელმწიფო სათათბიროს სტენოგრაფიულ ანგარიშებში. რაც შეეხება პრესაში ილია ჭავჭავაძის სიტყვის დაბეჭდვას, ხელისუფლება ვერანაირად ვერ შეაჩერებდა, თოზიციური პრესადა, მითუმეტეს, პარტიული, ილიას სიტყვას აუცილებლად დაბეჭდავდა. დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, რომ **ილია ჭავჭავაძე, მართალია, თანაუგრძნობდა პროფესორ ნ. ტაგანცევს და მის თანამოაზრებს და მათთან ერთად იბრძოდა სიკვდილით დასჯის კანონის გასაუქმებლად, მაგრამ სახელმწიფო საბჭოში იგი არ გამოსულა, ან შეიძლება სხვადასხვა მიზეზით ვერც მოასწრო ამ განზრახვის სისრულეში მოყვანა და სიტყვის წარმოთქმა.**

(**ბაბრამშაბა იმნეზა**)
პასტანგ ბურული
(საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918) წიგნი 3 გვ: 438-442)

ლანჩუთში ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები გაიმართა

ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები ლანჩუთში დილიდან დაიწყო. აღსანიშნავია, რომ პირველ ივნისს საქართველოში წმინდა ნინოს შემობრძანების დღეც აღინიშნება. სადღესასწაულო წირვა სოფელ ჯურუყვეთის წმინდა ნინოს სახელობის ტაძარში აღევლინა, რომელსაც მერის პირველი მოადგილე ეკატერინე გუჯაბიძე დაეწყო. ღონისძიება გაიმართა ჩოჩხათისა (გულიანის კორპუსი) და ქალაქის მესამე საჯარო სკოლებში. შემდეგ კი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ლესის საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლსა და დღის ცენტრ „იავნანას“ ესტუმრნენ.



უმასპინძლა, შემდეგ კი სახეიმო კონცერტი გაიმართა. ღონისძიებებს ლანჩუთის მერი ალექსანდრე სარიშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე დაესწრნენ.

ქალაქის ცენტრში კი სახეიმოდ მორთულ სკვერში პატარებს თოჯინების თეატრმა

ჩონატაურლებმა ოზურგეთის თეატრის სცენაზე ნოდარ დუმბაძის ბიოგრაფია გააცოცხლეს



ოზურგეთის ალ. წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მცირე სცენაზე ჩონატაურის კულტურის ცენტრთან არსებულმა დრამატულმა წრემ ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებების მიხედვით, წარმოადგინა სპექტაკლი „გვეყურებათ თქვენ?!“ რომელიც განხორციელდა დრამატული წრის

ხელმძღვანელმა ქეთევან კუკულაძემ. სპექტაკლში მონაწილეობდნენ: მარიამ შარაშენიძე, დავით ხაბეიშვილი, გიორგი ბერძენიშვილი, ქრისტინე კაკურია, საბა ჯინჭარაძე, ნინო წიქარიძე, დავით ბერძენიშვილი, მარიამ თავართქილაძე, თინათინ ოსეფაიშვილი, მიშო კობლატაძე, თოკო ბერიძე, ნანა

ვეფხვაძე, ლუკა წიქარიძე, მარიამ ბაბულიაშვილი, ლუკა ჩხიკვაძე და საბა პაიჭაძე. დრამატული წრე არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალები ქალებისათვის“ ინიციატივით შეიქმნა. მოსწავლეებმა საოცარი გულწრფელობით გააცოცხლეს სცენაზე ხატია, სოსოია, ბუფანა, ქეთო მამიდა, ქიშკარი ბაბუა, იულია ბებია, ნოდარი, წიფნავარელი ნათელა... მაყურებელი დიდხანს უკრავდა ტაშს ჩონატაურელ ახალგაზრდებს და ნიჭიერ შემოქმედ ქალბატონს ქეთევან კუკულაძეს, რომელიც, გვჯერა, რომ კვლავ მრავალი საინტერესო წარმოდგენებით გაგვახარებს. ჩონატაურელ სტუმრებს მიესალმნენ და წარმატებები უსურვეს ოზურგეთის დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ვასილ ჩიგოგიძემ, რეჟისორმა თათარ კულტაბაძემ, ოზურგეთის განათლების რესურსცენტრის ხელმძღვანელმა ლელა იმედაშვილმა.

სამხატვრო სკოლაში - მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა მოეწყო

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ოზურგეთის სამხატვრო სკოლაში - მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა მოეწყო. ღონისძიებას ოზურგეთის მერის მოადგილე ნათია გოლიაძე, საკრებულოს თავმჯდომარესთან, დავით დარჩიასთან და საკრებულოს დეპუტატებთან ერთად დაესწრო.



ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმში

1 ივნისს, ცხემლისხიდის საჯარო სკოლის და წმ. ნინოს სახელობის გიმნაზიის მოსწავლეები ისტორიულ მუზეუმს ესტუმრნენ. მუზეუმის თანამშრომლებმა მიულოცეს ეს დღე ბავშვებს, ესაუბრეს მოსწავლეებს მუზეუმის როლსა და მნიშვნელობაზე, მისი დაარსების ისტორიაზე. ასევე გააცნეს მოსწავლეებს გურული მოჯირითეების ისტორია, რომელთაც წელს უცხოეთში გასვლიდან 130 წელი შეუსრულდა. ვინაიდან მუზეუმს არ გააჩნია მუდ-



დემეტრე გორგოშიძეს დიდ მოგაგალს უწინასწარმეტყველებს

დემეტრე გორგოშიძე, ოზურგეთის №4 საჯარო სკოლის მეთვლეკლასელი, ოთხი წლის წინათ ოჯახთან ერთად საცხოვრებლად ესპანეთში გადავიდა. ადვილი არ იყო მეგობრებთან, პედაგოგებთან დაშორება, მაგრამ ეს ყველაფერი დაძლია იმით, რომ მის გვერდით იყვნენ მშობლები, მცირეწლოვანი დები. მამის, მიშკო გორგოშიძის წყალობით, რომელიც ადრეული ბავშვობიდან მწვრთნელობას უწევდა, კრივით იყო გატაცებული, თუმცა, ესპანეთში საბოლოოდ ირწმუნა, რომ სპორტის ეს სახეობა მისთვის უბრალო გატაცება არ



ყოფილა. დაიწყო ინტენსიური ვარჯიში, პარალელურად ბევრით სწავლა, დაეუფლა უცხოურ ენებს.

შარშან 13 წლისა ქ. პალენსიაში ესპანეთის ჩემპიონი გახდა. დემეტრეს აქვს ოცნება, უახლოეს მომავალში იასპარეზოს საქართველოს სახელით. ახლახან, საქართველოში ჩატარებულ ჩემპიონატზე, თავის ასაკში მეორე ადგილს დაეუფლა. მომავალში გეგმავს ჩემპიონი გახდეს. სულ რაღაც ორ დღეში კვლავ ესპანეთში გაემგზავრება და აქტიურ ვარჯიშსაც გააგრძელებს. ჩვენს ერთგულ მკითხველს კი ვთხოვ, დაიმახსოვროს მისი სახელი და გვარი, მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. **ა. ქილიფთარი**

ოზურგეთი-ბათუმის მიმართულაბით მატარებელი რეისებს 1 ივნისიდან შეასრულებს

განრივი:

ოზურგეთი-ბათუმი
06:10/08:16

ბათუმი-ოზურგეთი
20:55/23:00

7 დღის ამინდის პროგნოზი						
მზა, ღრუბელი +15 +25 6 ივნისი ორშაბათი	წვიმა +13 +19 7 ივნისი სამშაბათი	ღრუბელი +13 +21 8 ივნისი ოთხშაბათი	წვიმა +13 +20 9 ივნისი ხუთშაბათი	ღრუბელი +14 +21 10 ივნისი პარაკვევი	წვიმა +14 +21 11 ივნისი შაბათი	წვიმა +13 +20 12 ივნისი კვირა